



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გომარო

გომარო, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის ზანავის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1560 მ, ადიგენიდან 6 კმ, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 36 კმ. 426 მცხ. (2002).

სოფელში შემორჩენილია ძვ. ეკლესიის სამხრ. კედლის ნაშთი – დიდი ქვების ცოკოლზე შეყენებული და გარედან დამუშავებული სამი დიდი ლოდი. ადგილობრივთა გადმოცემით, ეკლესიის ქვები მშენებლობებზე გაუზიდავთ, ხოლო ერთი ჯვრიანი ქვა სოფლის წყლის სათავის აუბთან აუტანიათ. ნაეკლესიარიდან 20 მ-ზე გდია 1 მ სიმაღლის ლოდი. მას შუაში რელიეფური ბოლი დაუყვება. იგი შესაძლოა ჯვრის ქვედა ნაწილი იყოს.

1595 „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით ამ სოფელს გომაროტი ერქვა და ახალციხის ლივის უდის ნაჰიეს (რ-ნი) ეკუთვნოდა. ცხოვრობდა 3 კომლი ქართველი: ქიტია მათიასძე, ხუდა გოგიჩასძე, ლაშქარა ხარებასძე. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი; ჰქონდათ ბოსტნები, ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი. ყველა ამისათვის ისინი იხდიდნენ 7000 ახჩას ყოველწლიურად. 1705-06 ახალციხის ლივის უდის ნაჰიეში შემავალი სოფ. გომაროდი ექვემდებარებოდა ვინმე სულეიმანს და იხდიდა 17000 ახჩას. ჩანს, ამ დროისათვის იმატა მცხოვრებთა რაოდენობამ.

ამჟამად აქ ცხოვრობენ უმეტესად აჭარიდან გადმოსახლებული: მიქელაძეები, ხობრევანიძეები და ჯიმშელეიშვილები (იმერეთიდან).

წყარო: ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979; ჯიქია ს.,  
გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ნგ. 2, თბ., 1941.

**დ. ბერძენიშვილი**

---